საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1658 2020 წლის 27 აგვისტო ქ. თბილისი

2020 წელს განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი გამოყენების თაობაზე

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

ა) საქართველოს სამინისტროებისა და მათ კონტროლს დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2020 წლის იანვარ-ივნისში გამოცხადებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომია შეადგენს 42 719 609 (ორმოცდაორი მილიონ შვიდას ცხრამეტი ათას ექვსას ცხრა) ლარს (დანართი №1);

ბ) საქართველოს ზოგიერთი სამინისტროსა და მის კონტროლს დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციის ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ეკონომიის თანხები 2 281 115 (ორი მილიონ ორას ოთხმოცდაერთი ათას ას თხუთმეტი) ლარის ოდენობით შემცირდა,

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის შესაბამისად (დანართი №2).

2. საქართველოს სამინისტროებმა და მათ კონტროლს დაქვემდებარებულმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2020 წლის იანვარ-ივნისში გამოცხადებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიიდან 40 438 493 (ორმოცი მილიონ ოთხას ოცდათვრამეტი ათას ოთხას ოთხმოცდაცამეტი) ლარი (დანართი №3) მიმართონ მათ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად, ამ განკარგულების მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

3. საქართველოს სამინისტროებსა და მათ კონტროლს დაქვემდებარებულ საბიუჯეტო ორგანიზაციებს მიეცეთ უფლება, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2020 წლის იანვარ-ივნისში გამოცხადებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომია მიმართონ მათ მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

4. საქართველოს სამინისტროებისა და მათ კონტროლს დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ამ განკარგულების მე-3 პუნქტით განსაზღვრული მიზნობრიობისგან განსხვავებული მიმართულებით თანხის გამოყენება შესაძლებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**

საქართველოს მთავრობის

2020 წლის 27 აგვისტოს

№1658 განკარგულების

დანართი №1

ლარებში

დასახელება	**წარმოქმნილი ეკონომია (იანვარ-ივნისი)**
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	1,848,196
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	307,834
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	28,034,446
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	477,159
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	3,433,801
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	7,945
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	212,751
მ.შ. სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება	*6,821*
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2,952,834
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	1,680,033
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	3,764,609
სულ	**42,719,609**

საქართველოს მთავრობის

2020 წლის 27 აგვისტოს

№658 განკარგულების

დანართი №2

ლარებში

დასახელება	კანონის ცვლილებით შემცირებული ეკონომიის ოდენობები
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	106,707
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	61,852
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2,112,556
სულ	**2,281,115**

საქართველოს მთავრობის

2020 წლის 27 ივლისის

№1658 განკარგულების

დანართი №3

ლარებში

დასახელება	**გამოსაყენებელი ეკონომიის ოდენობა (იანვარ-ივნისი)**
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	1,848,196
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	201,127
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	28,034,446
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	477,159
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	3,433,801
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	7,945
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	212,751
მ.შ. სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება	*6,821*
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2,952,834
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	1,618,181
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	1,652,053
სულ	**40,438,493**